ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 14 იანვარი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. გოჩა სიჭინავა
2. იგორ გოგოლაძე
3. მალხაზ ლაგვილავა
4. კახა ლატარია
5. ფრიდონ შონია
6. ბეჟან ქირია
7. გენადი ზარანდია
8. გენადი ქაძანაია
9. მალხაზ ყურუა
10. ედიშერ წურწუმია

სხდომას თავმჯდომარეობდა გ. სიჭინავა - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 14 იანვრის N05/48 წერილის განხილვა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 14 იანვრის N05/48 წერილის განხილვა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა განაცხადა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით

ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონალური პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, რაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისთვის უნდა წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. ამ ეტაპზე გამგეობის მხრიდან მომზადებულია შემდეგი საკითხები: ა) ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭითაუმკურში წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით; ბ) ხობის №1 და №2 საბავშვო ბაღების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით; გ) კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით; დ) ქ. ხობში ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოებთან დაკავშირებით; ე) ხობის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის აღდგენასთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი საკითხი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა სიჭინავა